

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 473

ქ. ბათუმი, 30 ივნისი 2015 წ

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში
არსებული ქონების ა(ა)იპ - „ბათუმის ავტოდრომი“-სათვის
საკუთრებაში გადაცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ა“, „დ.ბ.“ ქვეპუნქტებისა და „ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების განკარგვასთან დაკავშირებით ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 29 მაისის №30 განკარგულების შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს - „ბათუმის ავტოდრომს“ საკუთრებაში გადაეცეს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საკუთრებაში არსებული 1900,0 (ერთი ათას ცხრაასი) ლარის საბალანსო ღირებულების რკინის კონსტრუქცია.

2. წინამდებარე ბრძანებით გათვალისწინებული ქონების ა(ა)იპ - „ბათუმის ავტოდრომი“-სათვის საკუთრების უფლებით გადაცემის მიზნით, შესაბამის მიღება-ჩაბარების აქტზე ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის სახელით ხელმოწერის უფლებამოსილება მიენიჭოს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-ეკონომიკური სამსახურის ქონების მართვისა და განკარგვის განყოფილების უფროსს რეზო ხახვას (პირადი ნომერი №61001023165).

3. წინამდებარე ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილეს (ზ. ბერიძე).

4. წინამდებარე ბრძანება გამოქვეყნდეს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ინტერნეტგვერდზე.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ.ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ინტერნეტგვერდზე გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.

6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

გიორგი ერმაკოვი

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი